



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: +995 599 51-88-41
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72,

ბრძანება

N 2176
12/04/2018

2176-0-4-201804121516



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მე-13 მუხლის და 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის მომზადების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - „სამუშაო ჯგუფი“) შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ოსიკო თოთიბაძე - მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;
- ბ) თემური მურვანიძე - არქტიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის, კომუნალური სერვისების განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) ნინო კვაჭანტირაძე - სამართლებრივი უზრუნველყოფის და ზედამხედველობის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- დ) გურამ შარაშენიძე - სამართლებრივი უზრუნველყოფის და ზედამხედველობის სამსახურის, ზედამხედველობის განყოფილების მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ე) ავთანდილ ჩხაიძე - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილების მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ვ) ტიტე ბაქანიძე - ა(ა)იპ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“- ს დირექტორის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ზ) ტარიელ ჟღენტი - ა(ა)იპ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“- ს დასუფთავების მომსახურების განყოფილების უფროსის თანაშემწე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

თ) აკაკი ჭანუყვაძე - ა(ა)იპ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“- ს დასუფთავების მომსახურების განყოფილების უფროსის თანაშემწე - სამუშაო ჯგუფის წევრი;


2. სამუშაო ჯგუფის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს შესაბამისად;

3. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2018 წლის 31 დეკემბრამდე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

კონსტანტინე შარაშენიძე



მუნიციპალიტეტის მერი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია